ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
შ პ ს
ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

Г р у з и я
о о о
Т Р А Н С П О Р Т

Georgia TRANSPORT Ltd

ქ. თბილისი. თემქ III მ/რ, კვ IV. კორპ. 61. ტელ.: 56-64-17, 56-41-75, მობ: 899-94-78-83

№ 21/07 "1" ივლისი 2007 წ.

მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი კრწანისში სახლი №1

საექსპერტო დასკვნა

კონსტრუქციული ნაწილი

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია შ.პ.ს. „სეიტონი"–ს მიერ დამუშავებული 111 გვერდიანი პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, თვალის კლინიკასა და კრწანისის ჩიხს შორის და შედგენილია არქიტექტურული ნახაზების შესაბამისად.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების მიხედვით, საძირკვლის ფუძედ მიღებულია თიხა მუქი ყავისფერი, თაბაშირის მარილებით, ხვინჭკის ჩანართებით 5–10%, გრუნტის საანგარიშო წინაღობა R=2,5 კგძ/სმ². სეისმურობა 8 ბალია.

საპროექტო შენობა გეგმაში რთული კონფიგურაციისაა, სართულიანობა–ცხრა სართული, მათ შორის ორი სარდაფის, შვიდი საცხოვრებელი. ტიპიური სართულის სიმაღლე H=3,5 მ.

კონსტრუქციულად ნაგებობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასულ ვარიანტში, მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმების ჩართვით.

საძირკველი წარმოადგენს მონოლითურ რკინაბეტონის ფილას h=80სმ.
სვეტები–რკინაბეტონის მონოლითური, ცვალებადი კეთებით.
რიგელები–რკინაბეტონის მონოლითური, კვ. 40X45(h) სმ.
სართულშუა გადახურვის ფილა მონოლითურია h=20სმ.
კიბეები – მონოლითურია.
გადახურვა – ბრტყელი.
შემავსებლად გამოიყენება წვრილი შემავსებელი b=40 სმ.

პროექტის განმარტებით ბარათში ვრცლად არის მითითებული შრომის პროცესი „გოსტი"–ს მიხედვით; კონტროლის გაწევა ცემენტის ხსნარზე, რკ. ბეტონის კონსტრუქციებში არმატურის შეერთებაზე, ანტიკოროზიული ლაქის ორჯერადი წასმა ლითონის კონსტრუქციებზე.

ექსპერტის შენიშვნები უმნიშვნელოა, კერძოდ: მე–100 ფურცელზე ღერძების ნომერაცია აღნიშნული არ არის.

დასკვნა: პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია კვალიფიციურად, პროფესიულ დონეზე, საქართველოში სამშენებლო ნორმების დაცვით და რეკომენდაცია ეძლევა დასამტკიცებლად.

დირექტორი. ტ.მ.დ. თ. ჭურაძე

ექსპერტი, ინჟ–კონსტრუქტორი ჯ. ვაშაკიძე

თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება	ბიოგრაფიული მონაცემები მუშაობის გამოცდილების მოკლე აღწერა
1	2	3	4	5
ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები. საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი. 1986 წ.	ჯ. ვაშაკიძე	26	26	დაპროექტებული აქვს: საბურთალოს ხაზზე მეტროპოლიტენის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (1988-89წ.) ხიდი ნხორწყუს რაიონში, სენაკში მდ. ტეხურაზე არსებული ხიდის რეკონსტრუქცია გაფართოება. საერდენი კედლები ზესტაფონში; ქ. ბათუმში ნავთოგადამამუსავებელი ქარხნისა და მასთან მდებარე სარკინიგზო ხიდის რეკონსტრუქცია (1989წ.); მაგისტრალური გაზსადენების საჰაერო გადაკვეთები ფასანაურის მიმდებარე ტერიტორიაზე (1990-1992წ.); საგარეო საქმეთა სამინისტროს სახარკვლის გამოკვლევა გაძლიერება (1996წ.); კოდორის ხეობაში 150მ. საქვეთო კოდული ხიდისა და ფოლადის 20მ. საავტომობილო ხიდის პროექტირება მშენებლობა (2001წ.); ვეკუას სახელობის რადიოლოგიური ინსტიტუტის საავადმყოფოს გაფართოება და ონკოლოგიური საავადმყოფოს გამოკვლევა (2006წ.); ასევე მრავალი მცირე და დიდი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები და სავაჭრო ფართები ქ. თბილისის სანიაღვრე ქსელების აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტზე კახეთის ხეობაში ექსპერტიზა